პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 13 ივნისი, 1945 წ. № 116 (7331). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გამარჯვებული ხალხის ინტელიგენცია. მოწინავე. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, მედლების „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“ დაწესების შესახებ. (1-ლი გვერდი).

პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციის საკითხის გამო. (1-ლი გვერდი).

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. (1-ლი გვერდი).

„ამერიკის სომეხთა ნაციონალური საბჭოს“ დეკლარაცია. (1-ლი გვერდი).

რკინიგზის ტრანსპორტს სჭირდება მეტი ორთქლმავალი, მეტი ვაგონი. (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები, დეპეშები. (მე-2 გვერდი).

გამარჯვებული ხალხის ინტელიგენცია

საბჭოთა ინტელიგენციამ ფასდაუდებელი განძი შეიტანა მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. ჩვენი ხალხი ამაყობს თავისი ინტელიგენციით, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა გაბედული ნოვატორობით ტექნიკისა და კულტურის დარგში.

საბჭოთა ინტელიგენცია ხალხის სისხლი და ხორცია. იგი მთელი არსებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან და რწმენითა და სიმართლით ემსახურება მათ. ოცდაშვიდი წლის წინათ სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე დიდი ლენინი ამბობდა:

„წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია შემოქმედებას ეწეოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის ყველა სიკეთე ერთი ნაწილისათვის მიეცა, ხოლო სხვებისთვის მოესპო ყველაზე საჭირო და აუცილებელი — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილებად...“

ლენინის ეს გენიალური სიტყვები მთლიანად გამართლდა. ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო ინტელიგენცია, რომელიც ტექნიკისა და კულტურის ყველა სიკეთეს ახმარებს ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობას, ვინაიდან იგი „ძირფესვიანად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური სახით“ (სტალინი).

ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხელისუფლება ათეული წლების მანძილზე უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობით ზრდიდნენ ინტელიგენციის კადრებს. განუწყვეტლივ ფართოვდებოდა და ფართოვდება სკოლების, ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა და სხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ქსელი, სადაც იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ინტელიგენცია. საქართველოში ამჟამად 20 უმაღლესი სასწავლებელია. აქ სწავლობს 20 ათასზე მეტი სტუდენტი. სკოლების ქსელის სიხშირით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ჩვენში მოსახლეობის თვითეულ 4.400 სულზე ერთი საშუალო სკოლა მოდის. ჩვენი სასწავლებლები ულევ ნაკადად უშვებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ტექნიკისა და კულტურის მუშაკებს.

ჩვენი ინჟინრები და ტექნიკოსები სამამულო ომის წლებში შემოქმედებითად იყენებდნენ მეცნიერების მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭურვლის წარმოებაში. ჩვენმა აგრონომებმა და ზოოტექნიკოსებმა ბევრი რამ გააკეთეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად. მედიცინის მუშაკებმა ახალი ეფექტური მეთოდებით გაამდიდრეს დაავადებათა მკურნალობის თეორია და პრაქტიკა. ხელოვნების მუშაკები — მწერლები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები თავიანთი შემოქმედებით აღაფრთოვანებდნენ და აღაფრთოვანებენ წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს გმირული საქმეებისათვის, თავდადებული შრომისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ომის დღეებში დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწია ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს თავდაცვითი პროდუქციის წარმოების მოწყობაში. აკადემიასთან არსებულმა თავდაცვითი ღონისძიებების ხელშემწყობმა კომისიამ, რომელსაც გამოჩენილი ქართველი სწავლული, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობს, მეცნიერებისა და გამომგონებელთა ასობით წინადადება განიხილა და დაამუშავა. კომისიის ინიციატივით მიღებულ იქნა სპეციალური შენადნობი ავიამშენებლობის საჭიროებისათვის, მოეწყო სამხედრო-საველე ჰიდრავლური დანადგარების წარმოება, დამზადდა კონტუზიის საწინააღმდეგო მოწყობილობა და განხორციელდა მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი. ომის დღეებში უდიდესი ნაყოფიერებით მუშაობდა ჩვენი მხცოვანი ფიზიოლოგი აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი. მან თავის ოსცილოგრაფიულ კაბინეტში შეისწავლა ადამიანის დიდი ტვინის ქერქის ბიოდენები, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის ჭრილობისა და დაავადებათა სწორი დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. აკადემიკოსი ბერიტაშვილი ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული. ფაშისტთა ურდოებზე გამარჯვებას ახმარებდა და ახმარებს მთელ თავის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ახალგაზრდა მეცნიერი რ. აგლაძე, რომელიც ომის დღეებში ახალი სახის ფეროშენადნობის მიღებისათვის სტალინის პრემიის ლაურეატი გახდა. ვინ არ იცნობს ჩვენს სახელოვან ინტელიგენტებს, სტალინის პრემიის ლაურეატებს არქიტექტორ ა. ქურდიანს და მსახიობ ა. ხორავას, პოეტ გ. ლეონიძეს და რეჟისორ მ. ჭიაურელს, ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნების ნოვატორებს, რომლებმაც კიდევ მეტად გაუთქვეს სახელი სამშობლოს.

საგანმანათლებლო, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ ჩვენი ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, რაც მოსახლეობაში სწარმოებს. ჩვენი ინტელიგენცია ყოველმხრივ დახმარებას უწევს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში და რაზმავს მშრომელებს საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად. მაგალითად, გორის რაიონში 662 მასწავლებელი, აგრონომი და მედიცინის მუშაკი აგიტატორად მუშაობს, 10 პედაგოგი სასოფლო კლუბს განაგებს, 26 მასწავლებელი შეთავსებით მუშაობს სამკითხველოებსა, სასოფლო ბიბლიოთეკებსა და მუზეუმში, უმაღლესი განათლების მქონე 50 ამხანაგი აგიტკოლექტივებს ხელმძღვანელობს. მრავალი ინტელიგენტი მუდმივად მონაწილეობს რაიკომისა და განათლების განყოფილების სალექციო მუშაობაში. ასეთსავე მრავალმხრივსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ინტელიგენცია ყველა ქალაქში, ყველა რაიონში.

ამ მუშაობის დიდი მასშტაბი და მაღალი დონე შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის დაუღალავი მზრუნველობისა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. საბჭოთა ინტელიგენცია უდიდეს ინტერესს იჩენს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისადმი, ღრმად ეუფლება და იყენებს მას ყოველდღიურ მუშაობაში. ამ საქმეში მათ ეხმარებიან პარტიული ორგანიზაციები. მისაბაძ მაგალითს იძლევა ამ მხრივ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი, რომელიც ატარებს სპეციალურ თეორიულ კონფერენციებს ინტელიგენციისათვის. წელს რაიკომმა მოაწყო ციკლი ლექციებისა ჩვენი პარტიის ისტორიიდან და თეორიულ საკითხებზე. აი ამ კონფერენციების თემატიკა: „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სახალხო განათლების შესახებ“, „ლენინისა და სტალინის მოძღვრება სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ“, „სტალინი — ცარიცინის გმირული დაცვის ორგანიზატორი“, „სტალინი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ“, „ლენინისა და სტალინის მოძღვრება ინტელიგენციის შესახებ“. ამ კონფერენციებში, რომლებიც მაღალ იდეურ დონეზე და უდიდესი აქტივობით ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა, განათლების ორგანოების, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების მუშაკებმა.

ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის მუშაობა გააძლიერეს ბევრ სხვა რაიონშიც, მაგრამ არა ყველგან. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კიდევ უკეთესად მოაწყონ ეს საქმე, ხელი შეუწყონ ჩვენს ინტელიგენციას რევოლუციური თეორიის ათვისებაში.

ზურგში და ფრონტზე თავდადებული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ხალხთან ერთად მტერზე გამარჯვება იდღესასწაულა ჩვენმა ინტელიგენციამ. ომი დამთავრდა, დადგა მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. საბჭოთა ხალხის, გამარჯვებული ხალხის ინტელიგენცია ახალი, დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დგას; სწრაფად უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. მთელი რიგი ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თავდაცვითს შეკვეთებს ასრულებდნენ, უბრუნდებიან მშვიდობიანობის დროის პროდუქციის გამოშვებას. უზრუნველვყოთ ახალი პროდუქციის წარმოებაზე უმტკივნეულო, შეუფერხებელი გადასვლა — ეს ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის ღირსების საქმეა.

საბჭოთა ხალხის ინტელიგენცია მდიდარია ნიჭიერი ადამიანებით, ტექნიკისა და კულტურის ნოვატორებით. იგი არის საბჭოთა ხალხის თვალმარგალიტი, მისი სიამაყე, მისი დიდება. სტალინის გენიით გასხივოსნებული გამარჯვებული ხალხის ინტელიგენცია კიდევ უფრო მაღლა აღმართავს საბჭოთა ტექნიკისა და კულტურის დროშას და კვლავაც გაბედულად წავა წინ ნოვატორობის გზით მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს სადიდებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი

ამა წლის 12 ივნისს შესდგა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გ. მ. პოპოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლების „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“ დაწესების შესახებ

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და დაწესდეს სპეციალური მედლები „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“.

2. დაჯილდოებულ იქნან მედლებით „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“ ბელგრადის, ვარშავისა და პრაღის გმირული იერიშისა და განთავისუფლების ყველა უშუალო მონაწილე, აგრეთვე ამ ქალაქების განთავისუფლებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

3. დამტკიცდეს დებულება მედლებისა „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“.

4. დამტკიცდეს ნიმუშები და აღწერილობა მედლებისა „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 9 ივნისი.

დებულება

მედლებისა „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“

1. მედლებით „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“ ჯილდოვდებიან წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო მოსამსახურენი — ბელგრადის, ვარშავისა და პრაღის გმირული იერიშისა და განთავისუფლების უშუალო მონაწილენი, აგრეთვე ამ ქალაქების განთავისუფლებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

2. მედლების გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ქალაქების განთავისუფლებაში ფაქტიურ მონაწილეობას და რომლებსაც გასცემენ ნაწილების მეთაურები და სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსები.

მედლებს გადასცემენ: იმ პირებს, რომლებიც წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარის ნაწილებში იმყოფებიან, ჯარის ნაწილების მეთაურები, ხოლო იმ პირებს, რომლებიც გავიდნენ არმიისა და ფლოტის შემადგენლობიდან, საოლქო, საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისრები დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მედლებს „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“ ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე.

თუ დაჯილდოებულს აქვს ორდენები და სხვა მედლები, ზემოაღნიშნული მედლები (ან მათი ლენტები უმედლოდ ტარების შემთხვევაში) თავსდებიან მედალ „ბერლინის აღებისათვის“ შემდეგ მარჯვნიდან მარცხნივ შემდეგი რიგით: „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“ და „პრაღის განთავისუფლებისათვის“.

აღწერილობა

მედლისა „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: წრეხაზზე წარწერა „განთავისუფლებისათვის“, ცენტრში წარწერა „ბელგრადისა“, ზემოთ წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, წრეხაზზე დაფნის ფოთლები. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ბელგრადის განთავისუფლების თარიღი: „1944 20 ოქტომბერი“, თარიღის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

გამოსახულებანი და წარწერანი მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის მწვანე აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტს შუაგულში აქვს 8 მმ სიგანის შავი ზოლი.

აღწერილობა

მედლისა „ვარშავის განთავისუფლებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ზემოთ წრეხაზზე წარწერა „განთავისუფლებისათვის“, ცენტრში წარწერა ლენტზე „ვარშავისა“, ქვემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი მისგან გამომავალი სხივებით. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ვარშავის განთავისუფლების თარიღი: „1945 17 [illegible]“, თარიღის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

გამოსახულებანი და წარწერანი მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის ლურჯი აბრეშუმის მუარის ლენტი.

ლენტის შუაგულში არის 8 მმ სიგანის წითელი ზოლი. ლენტს ნაპირებზე შემოვლებული აქვს ვიწრო ყვითელი ზოლები.

აღწერილობა

მედლისა „პრაღის განთავისუფლებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ზემოთ წრეხაზზე წარწერა „განთავისუფლებისათვის“, წარწერის ქვეშ „პრაღისა“, ქვემოთ ამომავალი მზის გამოსახულება და ორი დაფნის შტო, რომლებიც შეერთებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავის ქვეშ. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის პრაღის განთავისუფლების თარიღი: „1945 9 მაისი“, წარწერის ქვეშ ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

გამოსახულებანი და წარწერანი მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის იასამნისფერი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტს შუაგულში აქვს 8 მმ სიგანის ლურჯი ზოლი.

აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ შ. ლ. ამირანაშვილის დაჯილდოება

(მოსკოვი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 220 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის აკადემიკოსი ივანე სოლომონის-ძე **ბერიტაშვილი, შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულთა შორის — მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა ლევანის-ძე **ამირანაშვილი.**

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **კუტუზოვის მე-2 ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია გვარდიის გენერალ-მაიორი **კირილე კოჩოს-ძე ჯახუა** და **ბოგდან ხმელნიცკის მე-2 ხარისხის** ორდენით გვარდიის პოლკოვნიკი **მიხეილ გერასიმეს-ძე ჩიქოვანი.**

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა პირადი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია ლეიტენანტი **პავლე აკაკის-ძე ლობჟანიძე** და მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“ სერგო გიორგის-ძე დოლაბერიძე.**

საქდესი უარჰყოფს

ლონდონის გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ამერიკის ჯარებმა დაიწყეს ევაკუაცია გერმანიაში საბჭოთა ოკუპაციის ზონიდან. აღნიშნული გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ ამერიკელებს შეეძლოთ რამდენიმე დღეში მოეხდინათ მთელი რაიონის ევაკუაცია, რუსებს რომ შესძლებოდათ ამავე ვადაში დაეკავებინათ ეს რაიონი თავიანთი ჯარებით, მაგრამ თითქოს ამას ხელს უშლის რუსების ჯარების ნაკლებობა.

საქდესს დავალებული აქვს უარჰყოს „ნიუს ქრონიკლის“ ცნობა გერმანიაში საბჭოთა ოკუპაციის ზონიდან ამერიკის ჯარების ევაკუაციის დაწყების შესახებ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

საქდესს აგრეთვე დავალებული აქვს განაცხადოს, რომ არავითარი დაყოვნება არ მოხდება საბჭოთა ჯარების მიერ იმ რაიონის ოკუპაციის ჩატარებაში, საიდანაც მოკავშირეთა ჯარები გაყვანილ იქნებიან.

პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციის საკითხის გამო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ არჩიბალდ კ. კერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, რომელთაც სამი მოკავშირე სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციაზე რწმუნება მიეცათ მოთათბირებოდნენ პოლონეთის დროებითი მთავრობის წევრებს და სხვა დემოკრატიულ მოღვაწეებს პოლონეთში და საზღვარგარეთ უფრო ფართო დემოკრატიულ ბაზაზე თვით პოლონეთიდან დემოკრატიული მოღვაწეებისა და საზღვარგარეთიდან პოლონელების შეყვანის გზით პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციისა და ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, შეთანხმდნენ, რომ პოლონეთის გამო ყირიმის შეთანხმებაში გათვალისწინებული ზემოხსენებული კონსულტაციებისათვის უნდა მოწვეულ იქნან შემდეგი პირნი:

1. პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები.

ვარშავიდან მიღებული ცნობის თანახმად, პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებად დანიშნული არიან ბოლესლავ ბერუტი, ედუარდ ოსუბკა-მორავსკი, ვლადისლავ კოვალსკი, ვლადისლავ გომულკა.

2. დემოკრატი მოღვაწეები პოლონეთიდან: ვინცენტი ვიტოსი, ზიგმუნდ ჟულავსკი, სტანისლავ კუტშება, ადამ კრჟიჟანოვსკი და გენრიხ კოლოძეისკი.

3. დემოკრატი მოღვაწეები საზღვარგარეთიდან: სტანისლავ მიკოლაიჩიკი, იან სტანჩიკი და იულიან ჟაკოვსკი.

ყველა ზემოჩამოთვლილი პირი მოწვეულია მოსკოვში 15 ივნისისათვის.

„ამერიკის სომეხთა ნაციონალური საბჭოს“ დეკლარაცია

სან-ფრანცისკო, 8 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). „ამერიკის სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ“, რომელშიც შედის ამერიკის შეერთებული შტატების სომეხთა ყველა საშოქალაქო, საზოგადოებრივი, კულტურული და რელიგიური ორგანიზაცია, გარდა „დაშნაკთა“ მცირე ფაშისტური დაჯგუფებისა, განცხადებით მიმართა გაერთიანებულ ერთა კონფერენციის დელეგატებს და პრესას; განცხადებაში ნათქვამია, რომ დადგა დრო, რათა სომხეთის ნაწილი, რომელიც თურქეთის ბატონობის ქვეშ იტანჯება, შეუერთდეს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას, რაც შესაძლებელს გახდის სამშობლოს დაუბრუნდეს მილიონ-ნახევარი სომეხი, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან იმის გამო, რომ ისინი თურქეთის ბატონობას გაექცნენ.

განცხადებაში აღნიშნულია დახმარება, რაც სომხებმა მოკავშირეებს გაუწიეს პირველი მსოფლიო ომის დროს. აღნიშნულია, რომ „მოკავშირეებმა, სომეხი ხალხის მიერ თავისუფლებისა და დემოკრატიის დიად საქმეში შეტანილი წვლილისათვის მადლობის გამოსახატავად, აღუთქვეს მას განთავისუფლება და [illegible]

[illegible] ცხოვრობდნენ და სადაც თვითონ ჩვენ ვცხოვრობდით პირველ მსოფლიო ომამდე, კვლავ თურქეთის ნაწილად რჩება, მაშინ როცა მილიონ-ნახევარი სომეხი გადახვეწილია და ცხოვრობს როგორც იმიგრანტი დედამიწის ოთხივე ნაწილში. არარატის მთაც კი — ჩვენი ხალხის სიამაყე და დიდება, მისი იმედისა და მისწრაფების ყველაზე მკაფიო სიმბოლო — მთელი ათასი წლის მანძილზე თურქთა ბატონობაში რჩება.

უფრო მეტიც, ეს ჩვენი სამშობლო — თურქეთის სომხური პროვინციები — ჩამოშორებულია დამოუკიდებელ საბჭოთა სომხეთს, სადაც ჩვენმა ძმებმა, რომელთაც იქ ცხოვრების ბედნიერება აქვთ, დიდებული საფუძველი ჩაუყარეს სომხური ეროვნული ცხოვრების აღდგენასა და რეკონსტრუქციას. ამ აყვავებული ახალი ქვეყნის გარეთ მყოფი სომხებისათვის რა უნდა იყოს იმაზე ბუნებრივი, რომ სურდეთ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში და მხარში ამოუდგნენ თავიანთ ძმებს. დადგა დრო, რათა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი სომხეთი შეუერთდეს არსებულ თავისუფალ დამოუკიდებელ სომხეთს, რომელიც საბჭოთა [illegible]

[illegible] „თრაქხდავიარად“ — სამოთხის ქვეყნად, როგორც სომხები იტყვიან; აღადგინონ თავიანთი საკუთარი მტკიცე მთავრობა, გარდაქმნან თავიანთი სოციალური და ეკონომიური ცხოვრება და აღორძინონ ჩვენი წინაპრების დიადი კულტურა.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ რამეზე უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ და კიდევაც უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენი სამშობლო, სადაც ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან [illegible] სტალინი.

ამ ადამიანებმა სომხეთის საქმისადმი თავიანთი დიდი ინტერესითა და აქტიური მხარდაჭერით დაგვანახვეს, რომ ისინი არსებითად ეთანხმებიან გლადსტონს, რომელმაც სთქვა: „დაეხმარო სომხეთს — ეს ნიშნავს, დაეხმარო ცივილიზაციას“. დიდმა საბჭოთა კავშირმა მოკლე ხანში — ოცდახუთ წელში უდავოდ ცხადჰყო, რომ სომხეთისათვის დახმარება მართლაც ცივილიზაციისათვის დახმარებას ნიშნავს.

ამერიკელთა საჩუქარი ბელორუსიის დედაქალაქს

მინსკი, 9 ივნისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატებიდან აქ ჩამოვიდა 500-საწოლიანი საავადმყოფოს სრული მოწყობილობა, რაც ბელორუსიის დედაქალაქს საჩუქრად გამოუგზავნა ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოებამ. მიღებულია ორი ახალი რენტგენის აპარატი, ლაბორატორიის მოწყობილობა, ქირურგიული ინსტრუმენტარი, შესახვევი მასალა, ლოგინის თეთრეული და მედიკამენტების დიდი პარტია.

მოწყობილობა გადაეცა მინსკის 1-ლ კლინიკურ საავადმყოფოს, რომელიც ყველაზე მეტად დააზარალეს ჰიტლერელმა ბარბაროსებმა.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 55.000 ახალი სტუდენტი

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები ემზადებიან მოსწავლეთა ახალი მიღებისათვის. წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ იქნება 11.000-ზე მეტი ახალი სტუდენტი. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა საერთო რაოდენობა ამ უმაღლეს სასწავლებლებში მიაღწევს 39.000 კაცს — 6.000 კაცით მეტს, ვიდრე ომამდე.

ომამდელ დროსთან შედარებით 12.000 კაცით გადიდდება მოსწავლეთა რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში. პირველ კურსზე მიღებულ იქნება დაახლოებით 44.000 კაცი. (საქდესი).



კუიბიშევის სახელობის კრამატორსკის მეტალურგიული ქარხნის აღდგენილი ღუმელი № 3.
ფოტო ი. ოუშკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

რკინიგზის ტრანსპორტს სჭირდება მეტი ორთქლმავალი, მეტი ვაგონი

რატომ ჩამორჩა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის განვლილი 5 თვის მანძილზე ქვეყანას დააკლო 54 ორთქლმავალი და 32 სატვირთო ვაგონი. არც ერთი თვე არ ყოფილა წელს ისეთი, რომ ამ ქარხანას გეგმა შეესრულებინოს.

საამქროსადმი სუსტი ხელმძღვანელობა უნდა ვუსაყვედუროთ საქარხნო სამაალო განკოფილებას (უფროსი ამხ. შ. მგელაძე), კომერციულ დირექტორს და ქარხნის ტექნიკურ ხელმძღვანელს.

კადრების აღზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის არა საკმაო ზრუნვამ, რასაც ...

... მონტი, გასწორება, გაწმენდა. ეს საქმე დავალებული აქვს ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილებას (მთავარი მექანიკოსი ამხ. ლ. ვოგიძე), რომელიც სუსტად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

... ქარხნის მოწინავე ადამიანთა მხარდაჭერით შესძლებს მდგომარეობის სწრაფად გამოსწორებას და საწარმოო დავალებათა პირნათლად შესრულებას.

დ. ამირანიძე, ა. ნინუა

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 10 ივნისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის მაისის შესრულება დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის მაისის შესრულება დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	21,3	37,2	ქუთაისი	17,1	18,6
ქობულეთი	11,0	21,5	წყალტუბო	36,4	13,6
გალი	19,2	28,8	ტყიბული	21,1	45,5
ოჩამჩირე	23,6	38,0	ცხაკაია	17,5	9,8
გულრიფშა	25,6	67,3	აბაშა	33,0	9,3
სოხუმი	44,0	129,4	გეგეჭკორი	22,5	28,5
გუდაუთი	25,1	58,7	ზუგდიდი	12,6	19,6
მახარაძე	10,2	20,8	წალენჯიხა	17,0	20,4
ჩოხატაური	24,4	32,5	ჩხოროწყუ	15,7	17,8
ლანჩხუთი	10,7	15,9	ხობი	9,8	8,8
სამტრედია	27,8	17,9	ჩხარი	59,0	18,8
წულუკიძე	12,2	5,8	ზესტაფონი	29,0	26,7

მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია.

ტრუმენის მრჩევლის განცხადება სარეპარაციო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოსკოვში, ალბათ, მომავალ კვირაში გაიხსნება საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენელთა კონფერენცია რეპარაციების საკითხზე. ტრუმენის პირადმა მრჩეველმა რეპარაციის საკითხებზე ედვინ პოულიმ 9 ივნისს პარიზში განაცხადა, რომ იგი და მისი შტატი 11 ივნისს მოსკოვს გაემგზავრებიან ...

პოულის სიტყვით, რეპარაციების ანგარიშში პირველ გადასახდელთა სახით გერმანია აანაზღაურებს გერმანიაში მყოფი მოკავშირეთა 7 მილიონი ქვეშევრდომის, ე. ი. ყოფილ სამხედრო ტყვეთა და ძალით გარეკილ ადამიანთა ეფლისი რაოდენობის შენახვას.

... მრეწველობის გარდაქმნას, რათა დავეხმარებოდით მას რეპარაციების გადახდაში და ბოლოს იქამდე მივედით, რომ დიდძალი სურსათი და მასალა მივაწოდეთ მას. ამჯერად ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანიიდან გავიტანთ გერმანიის სამხედრო მექანიზმის მოძრავ ნაწილებს, რის გაზიდვაც შეუძლებელი იქნება, ალბათ, მოვსპობთ".

... ბიც ამ საკითხს სწავლობენ ინგლისის ჯარების მიერ ოკუპირებულ ზონაში.

პოულის შეეკითხნენ, სთვლით თუ არა თქვენ, რომ მტკიცე და მკაცრი პოლიტიკა უნდა აწარმოოთ გერმანიის მიმართ რეპარაციათა საკითხში, რაზედაც მან თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვა და უპასუხა: „სავსებით გარკვეულად".

ჰოპკინსი დაბრუნდა შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა ჰარი ჰოპკინსი, ჩამოსვლისთანავე იგი გაემართა თეთრ სახლში პრეზიდენტ ტრუმენთან სასაუბროდ.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ხელშეკრულების რატიფიკაცია

ბელგრადი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა მოახდინა სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

„ამერიკის სომეხთა ნაციონალური საბჭოს" მიერ სან-ფრანცისკოში მყოფ საბჭოთა დელეგაციების პატივსაცემად გამართული ბანკეტი

სან-ფრანცისკო, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაერთიანებული ერების კონფერენციაზე მყოფ სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგაციათა პატივსაცემად შესდგა ბანკეტი, რომელიც გამართა „ამერიკის სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ". დაესწრო 300-ზე მეტი კაცი, ამერიკის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ...

... ნიჭისა და საწარმოო ძალების განვითარების ნამდვილი შესაძლებლობა.

აზნახიანმა ილაპარაკა გერმანულ ფაშიზმის წინააღმდეგ სომეხი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ ამ ომში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა სომხებმა იცოდნენ რისთვისაც იბრძოდნენ. ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რაც მათ საბ...

... საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცებისაკენ და ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობისაკენ. ანტრონიანმა განაცხადა, რომ მხოლოდ საბჭოთა სომხეთის პირობებში მიიღო პირველად სომეხმა ხალხმა ნამდვილი თავისუფლება და თავისი სულიერი და კულტურული ...

... ოვაციით შეხვდნენ სადღეგრძელოს „დიდი ხალხის დიდი მხედართმთავრის სტალინისას, დიდი ხალხისა, რომელმაც დაიცვა არა მარტო თავისი დამოუკიდებლობა, არამედ ევროპის ხალხთა დამოუკიდებლობაც". საღამო მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნორვეგიის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 12 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ოსლოდან გადმოგვცემს, რომ დღეს ნიუგორსვოლდის მთავრობამ ნორვეგიის მეფე ჰოკონს თხოვნა გადასცა გადადგომის შესახებ. თუმცა არავითარი ოფიციალური განცხადება არ არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ მეფემ მთავრობას სთხოვა განაგრძოს თავისი ფუნქციების შესრულება ახალი კაბინეტის შედგენამდე.

იუგოსლავიელ ემიგრანტთა ძირგამომთხრელი მუშაობა თურქეთში

ბუქარესტი, 10 ივნისი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები, რომ თურქეთში შეიქმნა და მოქმედებს იუგოსლავიელ ემიგრანტთა პროფაშისტური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის სათავეში უდგას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ცვეტკოვიჩი, რომელმაც 1941 წელს ხელი მოაწერა შეთანხმებას ჰიტლერულ სამთა პაქტთან იუგოსლავიის შეერთების შესახებ, აგრეთვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი გენერალი ჟივკოვიჩი, სოკოლოვიჩი, რომელიც ...

... ვლავ იმალება, იყენებს რა თავის ძველ საზღვარგარეთულ ნაცნობობას.

ორგანიზაციაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ვაჭარ რატიჩს, რომელიც თურქეთში გერმანული პასპორტით ჩავიდა. ამ „იუგოსლაველი" მოქალაქის ბინა ორგანიზაციის შეკრების ადგილია. პროფაშისტური ორგანიზაცია ეწევა პროპაგანდას და აჩაღებს მუშაობას, მიმართულს დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის წინააღმდეგ. მაგალითად, ცნობი...

იაპონიაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების შედეგი

ამერიკის შეერთებულ შტატების ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის

სსრ კავშირის XIV პირველობა ჭადრაკში

11 ივნისს სწარმოებდა თამაში გადადებული პარტიების დასამთავრებლად. გრომაისტერმა ბოტვინიკმა ყაიმით დაამთავრა პარტია ალატორცევთან, კოტოვმა მოუგო ბრონშტეინს და ყაიმით დაამთავრა პარტია ჩეხოვერთან, მოსკოვის ჩემპიონმა სმისლოვმა მოუგო კანს და წააგო კონსტანტინოპოლსკისთან, ბოლესლავსკიმ მოუგო გრომაისტერ ბონდარევსკის. ეს ბონდარევსკის პირველი დამარცხებაა.

ლილიენტალმა მოუგო რატნერს, ბოლესლავსკისა და ლილიენტალის პარტია ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ალატორცევ-გოლდბერგის, რომანოვსკი-რუდაკოვსკის პარტიები. ჩეხოვერმა მოუგო კანს. ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გამოვიდა გრომაისტერი ფლორი. მის მიერ ნათამაშევი პარტიები არ ჩაითვლება.

... გოლდბერგი—3 შვიდში, ლილიენტალი და რუდაკოვსკი—2,5 ექვსში, რომანოვსკი—2,5 შვიდში, კანი—2 ექვსში, კობლენცი—1,5 ხუთში, ტოლუში—1 ქულა ოთხში და რატნერი—1 ქულა ხუთში.

12 ივნისს ტურნირის გამოსასვლელი დღე იყო. (საკდესი).

ფასების დაკლება „ოსობტორგის" მაღაზიებში

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრის ამხ. ლიუბიმოვის ბრძანებით 12 ივნისიდან „გლავოსობტორგის" სისტემის ყველა სასურსათო მაღაზიასა და რესტორანში ფასები დაკლებულია საშუალოდ 15,8 პროცენტით.

თბილისის მაღაზიებში ფასები დაკლებულია: სარეცხის საპონზე—38 პროცენტით, თევზეულზე და კონსერვებზე—23 პროცენტით, შაქარზე—15 პროცენტით, თამბაქოზე და პაპიროსებზე საშუალოდ 12 პროცენტით, პურზე და ნამცხვარზე 10 პროცენტით. ფასები დაკლებულია ზოგიერთ საკონდიტრო ნაწარმზე და სხვა საქონელზე.

ფასები დაკლებულია აგრეთვე „ოსობტორგის" თბილისის რესტორანში. ახლა კომპლექტური სადილის ფასია 45 მანეთი, ნაცვლად 55 მანეთისა. მაგარი სასმელების ფასი შემცირებულია 15 პროცენტით.

ანა ხახუტაშვილის შემოქმედების საღამო

ოთხშაბათს, 13 ივნისს, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 2) შესდგება მწერალ ანა ხახუტაშვილის (ცქვიტის) შემოქმედების საღამო. მოხსენებას ანა ხახუტაშვილის შემოქმედების შესახებ გააკეთებს რ. ქორქია.

სიტყვებს წარმოსთქვამენ ი. გრიშაშვილი და ი. სიხარულიძე.

დასასრულ სკოლამდელი ბავშვები და მოსწავლეები წაიკითხავენ ანა ხახუტაშვილის ნაწარმოებებს. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. შესვლა თავისუფალია.

ხელოვნების ქრონიკა

პრემიერა სიღნაღის სახელმწიფო თეატრში

სიღნაღი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სიღნაღის სახელმწიფო თეატრმა (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი მ. იარალი) მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გიორგი ერისთავის ისტორიული პიესა „ყვარყვარე ოთაბაგი".

პიესა დასდგა ახალგაზრდა რეჟისორმა შ. ციციშვილმა, მხატვრულად გააფორმეს გ. ნადირაშვილმა და დ. ჩხვაშვილმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ს. მიქიანაშვილმა.

სპექტაკლში როლებს შეასრულებს: ს. ზვერიაშვილმა, ნ. ზალდასტანიშვილმა, ა. ნახყიდაშვილმა, ვ. ქარცივაძემ და შ. ციციშვილმა.

ახალი დრამწრე და გუნდი

მოხსენება

კანფეტი ბატატისაგან

სოხუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის უფროსმა ტექნოლოგმა ამხ. პ. რურუამ დაამუშავა ბატატისაგან (ტკბილი კარტოფილი) ტკბილი ნამცხვრის, არომატიანი კანფეტის მიღების ტექნოლოგიური წესი. ბატატისაგან დამზადებული კანფეტი აღმოჩნდა საუცხოო ხარისხისა — მეტად ტკბილი, რბილი და სურნელოვანი.

სპეციალურმა კომისიამ მოიწონა ამხ. პ. რურუას მიერ დამუშავებული წინადადება და გადასწყვიტა დაავალოს საკონდიტრო ფაბრიკებს, რომ შეუდგნენ ბატატისაგან კანფეტისა და სხვა ტკბილი ნამცხვრების მასობრივად გამოშვებას.

იმისათვის, რათა საკონდიტრო ფაბრიკები უზრუნველყოფილ იქნას ბატატით, როგორც ნედლეულით, წელს მარტო სოხუმის რაიონში გადაწყვეტილია ბატატის კულტურის გაშენება 5 ჰექტარზე. თვითეული ტონა ბატატის ჩაბარებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ 500 მანეთი ფულად და 25 კილოგრამი კანფეტი.

ს. შონია

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე წიგნად დაბეჭდა ვსევოლოდ როკის პიესა „ინჟინერი სერგეევი". პიესის თარგმანი ეკუთვნის ნ. მიქავას. წიგნის რედაქტორია ვ. მაჭავარიანი.

კონსულტაცია

თეატრებში

კინოებში

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თბილისის ქალაქის ლომბარდის სამმართველო